ფასი 10.000 მ.

# ბახტრიონი

სტამბის მისამართი: სამხედრო სტამბა, ლორის—მელიქოვის ქ. № 8. ტელეფ. 8—81 განცხადების ფასი: სტრიქ. 20.000. ხელის მოწერა სამი თვით: 200.000 მ.

კვირეული სალიტერატურო და ინფორმაციის გაზეთი

№ 9 ორშაბათი 4 სექტემბერი № 9

ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა რკინის გზების მთლიანი სატრანსპორტო მომსმარებელი საზოგადოება

ზაკტპო

მისამართი: ტფილისი პლეხანოვის პრ. № 138. ტელეფონი: ქალაქის № 1—75; სამსახურისა № 11.

ძირითადი თანხა 1.500.000 მან. ოქროთი

აწარმოებს ოპერაციებს:

1. ექსპორტი და იმპორტი შინაგანი და საზღვარგარეთისა
2. სასწრაფო და ხელსაყრელი რეალიზაცია ყოველგვარ სავალიუტო საქონლისა როგორც:
აბრეშუმი, მატყლი, ფრიზონი, აბრეშუმის პარკი, ბამბა, ბეწვეული, ხე—ტყე და სხვა
3. ამიერ კავკასიის ნაწარმოებთა რეალიზაცია, რ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის საზღვრებში, როგორც: ხილეულობა, ღვინო, კონსერვები ყველი და სხვა
4. ბითუმი გაყიდვა პირველ საჭიროების საქონლისა როგორც:
ფქვილი, შაქარი, ჩაი, ყველი, ერბო, საპონი და სხვა
5. ყოველგვარი საკომისიო ოპერაციები

საკუთარი წარმოებანი

1. კარაქისა 2. საპნისა 3. სარძევე 4. ყველისა 5. კონსერვისა: 6. თევზეულობისა 7. წამლებისა და სხვა სასოფლო—სამეურნეო და საქარხნო—საფაბრიკო წარმოებანი:

წარმომადგენლობანი და კონტორები.

**კონსტანტინოპოლი:** სპარსეთი—ბენტერგაზ. **ბათუმი**—მიხეილის ქ. № 8. **ბაქო**—მილუტინის ქ. № 3. **კავკავი**—მარიინის ქ. № 10. **არმავირი**—ფოსტის ქ. № 93 **როსტოვი**—სადოვაია ქ. № 13. **მოსკოვი**—ნიკიტინის ქ. № 13.

საუბნო ფილიალური განყოფილებები (უ ჩ ტ პ ო).

ბათუმი, სამტრედია, შორაპანი, ხაშური, ტფილისი, განჯა. აჯიკაბული, ბაქო, დარუბანდი, ალექსანდროპოლი, ნახიჩევანი.

დამატებითი მატარებლები

№ №. 17 და 18

ბორჯომამდის

მატარებლები № № 17 და 18, რომელნიც თბილისსა და ხაშურს შუა მოგზაურობენ შაბათობით, 2 სექტემბრიდან ეს მატარებლები ივლიან ბორჯომამდე და უკანასკნელიდან კი—კვირაობით.

თბილისიდან მატ. № 18 გავა დილ. 8 ს. და 35 წ., გორიდან 11 ს. და 47 წ., ხაშურიდან დღის 1 ს. და 25 წ., ჩავა ბორჯომში დღის 2 ს. და 55 წ. გამოვა ბორჯომიდან კვირაობით დღის 3 ს. და 55 წ., გორიდან—საღ. 7 ს. და 6 წ.. თბილისში მოვა საღ. 10 საათზე. 2 სექტემბრიდანვე ბორჯომსა და ბორჯომ-პარკს შუა იმოგზაურებს დამატებითი ორი მატარებელი მატ. № № 17 და 18 მიმოსვლასთან შეთანხმებით. (—2—1)

1 ოქტომბერს ხელოვანთა სასახლეში გაიხსნება მეორე სეზონი

პოეზიის აკადემიის

მოხსენებათა ციკლი გამოცხადდება შემდეგ ნომერში.

## ქართული დრამის სეზონი

სადაც არის დღეს სეზონი უნდა გაიხსნას. ტფილისში, რომელიც არასდროს არ ყოფილა ამდენ გადმოხვეწილ უსაქმო არტისტების ბუდეთ, ცხელებიანი მუშაობა სწარმოებს. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გზა გაუხსნა, რომ ამ „არტისტებს“ მეტი გასავალი მიეცეს და ტფილისი დღეს ლამის გადიქცეს ერთ უზარმაზარ ვარიეტეთ. ათასი ქუჩის გადმოფრენილი ფრინველები („პერელეტნიე პტიცი“) ასე დაარქვეს თავის თავს ამ ნამდვილად მოზღვავებულმა მშიერმა კალიებმა), სრულიადაც არ ფიქრობენ საშემოდგომოთ სადმე გაგადაფრენას, პირიქით მაგრად დადგეს თავიანთი ბუდეები, და არათუ თავის ნებით ძალითაც არ მოშორდებიან ამ ქალაქს, რადგან კარგი საზრდო აღმოუჩნდათ. ჩვენ რომ თავი დავანებოთ იმ ჟანრს ვითომ ხელოვნებისას რომელსაც ისინი ასაღებენ ნაღდ ფულად, ჩვენ რომ თავი დავანებოთ აგრეთვე იმასაც რომ საბჭოთა სისტემა და მისი კონსტიტუცია ამას ვერ ეგუება, განა ჩვენ უნდა დავივიწყოთ, რომ ტფილისი საქართველოს სატახტო ქალაქია? და ვიკითხოთ რა ხდება ტფილისშ იმისთვის, რომ ქალაქი ქართული იყოს, რომ ქართული დრამა ასრულებდეს იმ როლს, რომელიც მას დაკისრებული აქვს ისტორიულად.... შეიძლება გადაწყვეტით ითქვას, რომ ამ შემთხვევაში დაუშვებელი უმოქმედობა სწარმოებს. ქართველ არტისტების კადრს არ ემატება, არც ერთი ახალი ძალა, რადგან არ არსებობს არც სახელმწიფო და არც კერძო სტუდია, რომელიც ზდის ხოლმე ახალ არტისტს და არათუ ახალი ძალა არ ემატება პირიქით ძველი ძალებიც დაქსაქსულია.

სადაც არის უნდა სეზონი დაიწყოს და ჯერ დასიც კი არ არის შედგენილი, ჯერ რეჟისორებიც კი არ არიან მოწვეული და რა თქმა უნდა ზედმეტია ლაპარაკი, რომ ახალი წარმოდგენების რეპეტიციები მიდიოდეს, ან რაიმე სათეატრო მუშაობა სწარმოებდეს.

ეს უკვე გადადის ეროვნულ სირცხვილში, სხვა კულტურულ ქვეყანაში ვერც კი წარმოიდგენენ, სხვა არ იყოს საქართველოს თითქმის საუკუნის თეატრის კულტურა აქვს. და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ საზოგადოებაში და თეატრთან დაახლოვებულ ხალხში ისმის დრტვინვა, აქ უნდათ დაინახონ რაღაც დაცინვა, რადგან მართლაც წარმოუდგენელია მეტი დაუდევრობა და საქმის მივიწყება.

წარმოვიდგინოთ მართლაც რომ შესდგეს დასი ეხლა, რა უნდა ითამაშოს ამ დასმა, ის პიესები, რომელთა თამაში ურეპეტიციოთაც შეიძლებოდა, და რომელნიც საზოგადოებასაც იზიდავდენ ზოგ მიზეზების გამო მოხსნილია რეპერტუარიდან და რჩება ისეთი ხლამი, რომელის გათამაშებაც სამუდამოთ შეაძულებს ხალხს თეატრს. ჩვენ კი ჩვენი სათეატრო ავტორიტეტების გამოკვლევით ვამტკიცებთ, რომ ძვირათ შეიძლება ისეთი ერი, რომელსაც ამდენი თეატრალური პოტენცია ჰქონდეს, როგორც ჩვენი ერია. თავი რომ დავანებოთ ჩვენ საკუთარ თეატრის მოღვაწეებს, რომელთაც პირობები უშლიან უფრო დიდი გამოჩნდნენ ამ მაშტაბში ქართველები დიდ რუსეთის სცენაზეც ამდენ ნიჭს იჩენენ: როგორც სუმბათაშვილი, კ. მარჯანიშვილი და ვ. მჭედელიშვილი.

და განა ვკითხულობთ ჩვენ სირცხვილი არ არის ამ პოტენციის ერი, ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირის მოქმედების გამო უთეატროთ დარჩეს.

ჩვენ ვეძებთ და საზოგადოებაც დაინტერესებულია სააშკარაოზე იყონ გამოყვანილი ის პირები ვინც უშლიან ამ საქმეს, რომ ჩვენ ვიცოდეთ ვისთან გვაქვს საქმე. ქართველი ხალხი არ ზოგავს არაფერს რომ ეროვნული საქმე გააკეთოს, თეატრს საძირკველი ჩაუყაროს მიუხედავათ ამისა წინ უხვდება ისეთი ფაქტი, რომ ტფილისში დღეს ქართული თეატრი არ არსებობს. წინად აქ თეატრის ბინის უქონლობაზე იყო საქმე, მაგრამ წინანდელმა და ეხლანდელმა მთავრობამ შეიგნეს, რომ ტფილისში ქართულ დასს უნდა ჰქონდეს თეატრი და ამიტომ შეიყიდეს კიდეც ტარტოს თეატრი, მაშ რა უშლის ხელს თეატრის მოწყობას, მაშ ვისი ბრალია ეს პარალიჩი. ჩვენ გვგონია, რომ ამაში საზოგადოებასა და ხელოვანთა გარდა დაინტერესებულია მთავრობა, რომ გამოიძიოს საქმე და თავიდან აგვაშოროს ასეთი ეროვნული მარცხი. ქართველი არტისტები, რომ ვერ შეიქნებიან „პერელიოტნიე პტიცები“ რომ სადმე გადაფრინდენ და ასეც რომ მოხდეს რა ეშველება იმ ხალხს რომელიც თეატრისთვის არაფერს ზოგავს და თეარტი მაინც არ უნახავს.

ჩენ მივმართავთ სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს, მიაქციოს ამას ყურადღება, გამოიკვლიოს ფაქტები და დაამზადოს მოხსენება სადაც ჯერ არის, რომ ამას მიეცეს დაფასება, რადგან ამ საქმეში დაინტერესებულია საზოგადოებასთან ერთად ხელისუფლებაც. ამას მოითხოვს ის მორალური პასუხისმგებლობა რომელიც აქვს ამ კომიტეტს, როგორც ერთადერთ დაწესებულებას რომელიც ამორჩეულია ყველა ქართველ ხელოვანთა მიერ განურჩევლად დარგისა, ამას ექნება დიდი მორალური და შეიძლება ვიფიქროთ კიდეც საქმის გამასწორებელი მნიშვნელობა.

მეთაური აწყობილი იყო როცა რედაქციას მოუვიდა ცნობა აკადემიურ თეატრების განსაკუთრებულ მმართველობის გამგედ ალ. წუწუნავას დანიშვნის შესახებ,

უნდა ველოდეთ, რომ წუწუნავას მხატვრული მომზადება და გამოცდილი ხელი შესძლებს თეატრის არეულ დარეულ საქმეების გამოსწორებას.

რედაქციის თანამშრომელმა იქონია საგანგებო საუბარი ალ. წუწუნავასთან. მეთაურში აღძრულ საკითხების შესახებ შემდეგ ნომერში იქნება მოთავსებული.

## ალექსანდრე სუმბათაშვილი

### ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინის იუბილე.

12 სექტემბერს მოსკოვში გადახდილ იქნება 40 წლის იუბილე ალექსანდრე სუმბათაშვილი-უჟინის 40 წლის სცენაზე მოღვაწეობის. როგორც ეტყობა ამ იუბილეს ექნება გრანდიოზული ხასიათი, რადგან სუმბათაშვილი დღეს რუსეთში ცნობილია როგორც უპირველესი დამსახურებულ არტისტებში. რამდენიმე წინად მოსკოვში ტრადიცია იყო, რომ სუმბათაშვილის სახით წარმოედგინათ რუსეთის თეატრი, რუსეთის ყველა ხელოვანთა წრეში სუმბათაშვილს დამსახურებული აქვს დიდი სიმპატიები. უკანასკნელ დროსაც მიუხედავათ ცუდი პირობებისა, რომელიც შეჰქმნილი იყო მოსკოვში სამოქალაქო ომის გამო, სუმბათაშვილი არ ჩამოშორებია სცენას და პირიქით მას ეჭირა საპასუხის მგებლო როლი დრამატიულ თეატრების კომისარის. ქართველ არტისტებმა იუბილეზე დასასწრებლად აირჩიეს რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი, რომელიც როგორც გადმოგვცემენ ვერ მიდის მოსკოვში, რადგან ამისთვის საჭირო თანხა ვერ იქნა გადადებული ვისგანაც ჯერ არის (საკვირველია, რომ თანხების ნაკლებობაზე სწორედ მაშინ ჩამოვარდება ლაპარაკი, რაც უნდა ცოტა იყოს, როცა საკითხი ქართულ თეატრს და მის პრესტიჟს შეეხება ყველას ახსოვს რა წაუხოცელი ჩდაბეჭდილება დასტოვა განსვენებულმა კოტე მესხმა თავის სიტყვით სუმბათაშვილის 25 წლის იუბილეო დროს. ამის შემდეგ სუმბათაშვილი თავმჯდომარე იყო ქართულ კოლონიის მოსკოვში და დაუფასებული ღვაწლიც მიუძღვის ქართველ ახალგაზრდების წინ,. რომელნიც მოსკოვში სწავლობდენ. სრულიად საქართველოს ახალ მწერლობის კავშირმა თავის საბჭოს წევრს და ამავ დროს საქართველოს სიძველეთა რეევაკუტიის კომისიის წევრს პავლე ინგოროთყვას, რომელიც ამ ჟამად მოსკოვში იმყოფება დაავალა იყოს კავშირის წარმომადგენლად იუბილეზე, არის შესახებ მანდატით დეპეშით გაეგზავნა ბ. ინგოროყვას მოსკოყში.

### ალექსანდრე სუმბათაშვილი საქართველოში.

შემოდგომის დამლევს საქართველოში ჩამოვა მოსკოვიდან ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი. მას გადაწყვეტილი აქვს იუბილეის შემდეგ დაისვენოს სამშობლოში და შემდეგ მიემგზავრება ამერიკაში, სადაც ერთერთ კინამეტოგრაფის ფორმას გადაწყვეტილი აქვს მისი მიპატიჟება, რომ მისი ხელმძღვანელობით დადგმულ იქნას კინო ტეატრისთვის „ღალატი“. სუმბათაშვილი საქართველოში ამ ფირმისთვის შეიძენს ქართულ კოსტიუმებს და სხვა საერო ნივთებს და აგრეთვე ადგი. ბრივ შეისწავლის პლანს დადგმისთვ ქართველ არტისტების და ხელოვანთა წრეში ტრიალებს აზრი, რომ სუმბათაშვილს მოუწყეს შესაფერი დახვედრა და თუ იუბილე ვერ შეიქნა მოსახერხებელი მას დაბრუნება სამშობლოში რაიმეთ მაინც იქნეს აღნიშნული. როგორც გადმოგვეცემენ ამ ჯგუფს უდგას სათავეში ცნობილი დამსახურებული არტისტი ვალერიან გუნია, რომელიც აგრეთვე ითვლება სუმბათაშვილის პირად მეგობრათ. ჩვენ გვონია ეს აზრი სხვებშიც იპოვის გამოძახილს, რადგან სუმბათაშვილი მიუხედავათ იმისა, რომ თავისი დღეები რუსეთის თეატრს შეალია, მაინც ქართველი დარჩა ბოლომდე და კოტე მესხის მოხერხებული სიტყვით, თავის პიესით „ღალატი“თ გამოისყიდა თავის ღალატით აგრეთვე გადმოგვცემენ რომ ამ სამი წლის წინა ქართული მთავრობა აწარმოებდა მასთან მოლაპარაკებას, რომ ის მოეწვიათ ხელოვნების მინისტრათ საქართველოში.

# არტურ ლაისტის წერილები

**ქართველები და ზღვა.**

წარსულშიაც ქართველებისთვის ზღვა იყო რაღაც შორეული, უცნობი. არც ქართლის ცხოვრებაში და არც ქრონიკებში არ არის ცნობა, რომ ქართველები ზრუნავდენ ზღვაზე, რომელიც დიდ მანძილზე უვლის გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის სანაპიროებს და აგრეთვე აკავშირებს საქართველოს ევროპასთან. რა თქმა უნდა წარსულშიაც და შემდეგაც ჰქონდა დამოკიდებულება საქართველოს ბიზანტიასთან და საერთოდ დასავლეთთან, მაგრამ დამოკიდებულება იყო არა პირდაპირი, არამედ შუამავლებად იყვენ ბერძნები და გენუელები. უკანასკნელები აკავშირებდენ კოლხეთს ბიზანტიასთან, მოჰქონდათ და მიჰქონდათ საქონელი, ქართველები კი ამ საზღვაო ურთიერთობაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდენ. ისინი არას დროს არ ყოფილან ზღვაოსნები, არამედ იყო ხალხი ხმელეთის.

ვეფხის ტყაოსანში რუსთაველი რამოდენიმეჯერ იხსენიებს ზღვას, მაგრამ გულგრილად, გარეშე აღფრთოვანებისა, არ აქვს სურვილი მისი გრძნობით გამთბარ ბუნების სურათის მოცემისა და ეს გასაგებია, ვინაიდან გრძნობა ბუნების, რომელიც უსათუოდ აქვს თანამედროვე განვითარებულ ადამიანს, მაშინ არ აყო კიდევ გაცხოველებული. არც დანტეს, არც ტორკვატო ტასოს და არც ფრანგ ტრუბადურებს არ იტაცებდა ბუნების სილამაზე ისე, როგორც თანამედროვე პოეტებს. ბუნების გრძნობა განვითარდა ნელი ტემპით და გასაკვირველიც არ არის, რომ ძველ ქართულ პოეზიაში არ მოიპოვება ზღვის აწერილობა. აგრეთვე არც მე-18-საუკუნის ქართველ პოეტს არ მიუქცევია ყურადღება ამ საუცხოვო, მძლავრ სტიქიისთვის, რომლის შესახებ დღეს უკვე მთელი ანტალოგიების შედგენა შეიძლება ლიტერატურიდან.

მაგრამ მე 19 საუკუნეშიაც და მე 20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ქართველების გულგრილობა ზღვისადმი არ შეცვლილა და არც პოეზია და არც პროზა არ ამტკიცებს, რომ ქართველებმა დაიწყეს დაინტერესება ზღვით, რომელთანაც ასე დაკავშირებულია მისი დასავლეთ ნაწილის მომავალი. მართალია მეურნეობის თვალსაზრისით ქართველები უკანასკნელად დაუახლოვდენ ზღვას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. სანაპიროებზე მისვლა მოსვლას წინანდებურად უმთავრესად აწარმოებენ ლაზები და მხოლოდ შემდეგ მეგრელები. უკანასკნელთა შორის არიან აგრეთვე მენავეები და მეთევზეები, მაგრამ არც ეს არის საკმარისი.

ქართველებმა, რომლებიც ზღვის ახლო ცხოვრებენ და მის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, უნდა შეისწავლონ იგი კლიმატიური, მეტეოროლოგიური და სხვა მხრივ.

**ახალი ესპანეთი.**

სამხრეთი ამერიკა და მექსიკა ჯერ კიდევ ომამდე იყვენ დამდგარნი მატერიალურ და გონებრივ კულტურის განვითარების გზაზე პროგრესი უმთავრესად ემჩნევა არგენტინას, ურაგვაის, სამხრეთ ჩილის მექსიკაში, ესე იგი ლათინურ ამერიკის იმ ქვეყნებს, რომელთაც აქვთ რბილი კლიმატი, მაშინ როდესაც ეკვატორთან ახლო მდებარე ქვეყნებში კულტურულ განვითარებას აფერხებს მეტად არახელსაყრელი კლიმატი აღნიშნული ქვეყნები ომის შემდეგ თითქოს ახალ ცხოვრებაში შევიდენ და გაოცებულ ევროპის წინაში გაიშალა სურათი, სასიხარულო ზოგთათვის და მოულოდნელი და ოდნავ შემაწუხებელი მეორეთათვის ახალ ლათინურ, ესე იგი ახალ ესპანეთის მოძრაობის ცენტრი არის არგენტინის სატახტო ქალაქი ბუენოს—აირესი, რომელიც მალე იქნება მეტოქე ნიუ-იორკისა, ამ ჩრდილოეთ ამერიკის სატახტო ქალაქის, რომელიც უკანასკნელ ათეულ წლებში ისწრაფოდა ლათინურ ამერიკის ეკონომიურათ დამონებისაკენ. ახლა საეჭვოა მეტად ამ მისწრაფების განხორციელება და მექსიკაც კი, რომელისაც მეტად აბუჩად ეკიდება ანგლო საქსური ამერიკა, თანდათანობით მაგრდება და მჭიდროთ უკავშირდება ლათინურ ამერიკის დანარჩენ რესპუბლიკებს. უეჭველია ესპანურ სახელმწიფოთა კავშირი პორტუგალურ ბრაზილიასთან ერთად ახლო მომავლის საქმეა. მაშინ დასავლეთ ერგბურთობზე გაჩდება ძლიერი ჯგუფი სახელმწიფოთა, დასახლებული განსაკუთრებით ესპანელებით, ვინაიდან მხოლოდ ბრაზილიელები ლაპარაკობენ პორტუგალურ ენაზე. მაგრამ ახალ ესპანეთის სიძლიერე გამოიხატება არა მხოლოდ პოლიტიკურ სფეროში, არამედ კულტურულშიაც. მის ყოველ ცენტრში სწარმოებს გაცხოველებული გონებრივი და ტეხნიკური ხასიათის მუშაობა. ვითარდება მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება, განსაკუთრებით კი მუსიკა და მხატვრობა.

როგორც ზევითაც იყო აღნიშნული მთელი ამ მოძრაობის სათავეში დგას ახალგაზრდა, ენერგიული და მომქმედი არგენტინა, რომელიც თავისი ცხოვრებას განაყოფიერების მიზნით, არა თუ აგზავნის მხოლოდ ყოველ წლობით ახალგაზრდობას გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ იწვევს კიდევაც გერმანიიდან სხვა და სხვა სახის მეცნიერებს. ამასთანავე იგი შეეკრა გერმანიას კულტურულ კავშირით, რომლის წევრებათაც ითვლებიან გერმანიის და არგენტინის ცნობილი მეცნიერები. გარდა ამ საზოგადოებისა არსებობს აგრეთვე სხვა კულტურული კავშირი, რომლის მიზანსაც შეადგენს გერმანიისა და მთელი ლათინური ამერიკის ურთიერთი გაცნობა.

გერმანელები საერთოდ სამხრეთ ამერიკის ახალ კულტურულ მოძრაობას დიდ მნიშვნელობას აძლევენ და ამამად ესპანურ ენის შესწავლის მსურველთა რიცხვი გერმანიაში მეტად დიდია, მაშინ როდესაც ფრანგული ენ ს შესწავლა დღითი დღე სუსტდება.

იმიერ ოკეანის ახალ ესპანეთსა რომელიც არის ახალი და თავისებური კულტურული მოვლენა უთუოდ, უეჭველად დიდი მომავალი აქვს და გერმანია, რომელიც ხელს უწყობს მის განვითარებას, ამით ხელს უწყობს ისეთ კულტურულ ერთეულის შექმნას, რომელიც აღიდგება წინ ჩრდილოეთ ამერიკის ანგლო საკსურ კულტურულ უპირატესობას.

# ეკლოგა

სულ იწვიმებენ შენი ცურები,
დაგვეცა წარღვნათ შენი ჯიქანი.
მაგრამ შენ ჯერაც არ იწურები,
არ შაწყვეტილან შენი ჰექანი.

სდგანან ქაფებათ სარძეულები,
მაღალ ტაგანებს სწყდებათ ძირები:
ვართ შენს რძეებში დარწეულები
შენი ბარაქით დაზელილები.

გააქთ გრიალი კერატებს, ვერძებს
დაგბრუნავს თავზე ერბოს მორევი
სასუქს, სიმსუქნეს მოხეთქილ რძეებს.
სიმსხო ბარძაყებს მოჰრილ მორივით.

ხორცით და ქონით გადაჰედილი
მოაშრიალებ დაძაგრულ ჯაგარს.
მე მინდა ვიყო ჯალალ-ედ-დინი
შენი ფაშვები დავაგო ჩანგალს!

**გიორგი ლეონიძე**

2 სექტემბერი
ტფილისი

# ქრონიკა

**ცისფერი ყანწების გენეალოგია**

ოქტომბერში გამოვა გიორგი ლეონიძის წიგნი:

"ცისფერი ყანწების გენეალოგია"

1. გრიგოლ რობაქიძე
2. ვალერიან გაფრინდაშვილი.
3 პაოლო იაშვილი
4 ტიციან ტაბიძე
5 შალვა აფხაიძე
6 ნიკოლო მიწიშვილი
7 სანდრო ცირეკიძე
8 კოლაუ ნადირაძე
9 ალი არსენიშვილი
10 ნიკო ლორთქიფანიძე
11 არისტო ჭუმბაძე
12 ლადო გუდიაშვილი

**აკადემიური თეატრების მმართველობის გამგე**

სახელმწიფო აკადემიურ თეატრების საგანგებო მმართველობის გამგედ დაინიშნა რეჟისორი, ალექსანდრე რაჟდენის ძე წუწუნავა. იგი უკვე შეუდგა მოვალეობის ასრულების ასრულებას და იმუშავებს გეგმას მომავალ სეზონებისას.

**რაჟდენ გვეტაძის ლექსების მესამე წიგნი.**

ენკენისთვის შუა რიცხვებში გამოვა რაჟდენ გვეტაძის ლექსების მესამე წიგნი—„ვირები".

**ქართულ სიძველეთა რეევაკუაციის კომისიის დაბრუნება:**

მოსკოვიდან მიღებულია დეპეშა სიძველეთა რეევაკუაციის კომისიის დაბრუნების შესახებ. კომისიას (ვუკოლ ბერიძეს და კორნელი კეკელიძეს) ტფილისში მოელიან სექტებრის 4 კომისიის ერთი წევრი პავლე ინგოროყვა კი რჩება მოსკოვში საკითხების საბოლოოდ მოსაგვარებლად.

**რეჟისორ მარჯანიშვილის ჩამოსვლა**

ღღეს ორშაბათს მოსკოვიდან ჩამოდის ცნობილი რეჟისორი მარჯანიშვილი

**აკადემიური თეატრების მმართველობა.**

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის და სახალხო განათლების კომისარის მიერ დამტკიცებულია პროექტი აკადემიურ თეატრების მმართველობისა. თანახმად პროექტისა არსდება ერთი მმართველობა სახელმწიფო თეატრებისა, რომლის ხელში იქნება უმაღლესი მეთვალყურეობა თეატრებისა, საერთო სახელოვნო პოლიტიკა, რეპერტუარის შედგენა, დასის დამტკიცება და სხვა რჩება სახელოვნო კომიტეტის კომპენტენციაში. პროექტით გათვალისწინებულია თეატრების მმართველის და პოლიტიკური კომისარის დანიშვნა,

**სამუსიკო სასწავლებლის რეორგანიზაცია**

სახალხო განათლების კომისარიატთან დაარსდა სამუსიკო სასწავლებლის რეორგანიზაციის გეგმის შემმუშავებელი კომისია, რომელშიაც შედიან: კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, თამარ ვახვახიშვილი და პირველი სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი აისრბერგი.

კომისია უკვე შეუდგა მუშაობას და მას სულ მოკლე დროში დაასრულებს.

**ქეთევან მაღალაშვილის სურათები.**

ახალგაზრდა მხატვარმა ქეთევან მაღალაშვილმა დაამთავრა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის სურათი. უკანასკნელი დიდი არტისტული მიღწევით არის შესრულებული. ძველი ასირიელის სახე ნიკოლაძის ამეტყველებულია მოხდენულ ფერებით და დამთავრებული ტეხნიკით ეროვნულ გალერეის ქვედა სართულის პატარა ოთახის კედლებს აცხოველებს აგრეთვე ქეთევან მაღალაშვილის მოცემული პოტრეტები: მხატვარ დ შევარდნაძის, ირრადიონ სონღულაშვილის, ნათიძის და სხვათა. მაღალაშვილი, ერთად ერთ პორტრეტისტია ქართულ მხატრობაში. და ამით არის იგი ღირს შესანიშნავი და საყურადღებო.

# ბესიკი
## (1744—1794)

პირადი განცდა რეალური, ცხოვრების სინამდვილეში ატანილი, წყაროთაგანია ხელოვნურის ნაწარმოებისა. მგოსანი გამოსცდის სულის რომელისამე მოძრაობას, სურათებში ჩამოაყალიბებს მას და შესძლებს სავსებით გადმოგვცეს იგი. ამისთანა პოეტური ქმნილება აღმოცენებულია სინამდვილის წიაღიდან, ამოკვეთილია თვით ცხოვრებიდან; იგი განსაზღვრული დროისა და ადგილის სფეროში მომხდარი ამბავია.

ძნელად დასამუშავებელი მასალაა ეს: იგი განცდა პირადია, მხოლოდ ერთის გრძნობა, ფიქრი თუ ნდომა, მარტოოდენ მისი სიხარული ან სიმძიმილი. განმცდელისთვის რომ საყურადღებოა, სხვისათვის შესაძლოაარ იყოს საგულისხმიერო. იგი განცდა პირადობის ფარგალშია მოქცეული, ეგოისტურია და ან სრულებით არ შეეხება გარეშე არსთ, ან შეეხება მხოლოდ გაკვრით, მას არ შეუძლიან აშალოს სხვაში სათანადო თანაგრძნობა, შეიძეროს სხვის გულის სიმები, შეიხმატკბილოს; უძლურია აღძრას სხვის გრძნობები მჭევლებად, ტალღებად, აღქაფებულ ზვირთებად, რომლებიც მძლავრად იწყობენ ქანაობას პირველ განმცდელის აზვირთებულ ბუნებასთან ერთად და შეთანხმებით.

ამგვარი განცდა ძლიერებას მხოლოდ მაშინ ეზიარება, როდესაც შესძლებს დაარღვიოს პირადი ზღუდე, გამოვიდეს ერთეულის ფარგლიდან, განსაზოგადოვდეს და ბევრეულისათვის შეიქმნეს ისეთივე სინამდვილით და სიმწვავით საგრძნობი როგორი ფიხელი შესაგრძნობელიც იყო პირველ-განმცდელისათვის. სიძნელე ამ განსაზოგადოებაში არის, თანაც შერჩენაში შეგრძნობის მცხინვარებისა,

ესეთი განვითარება თუ განსაზოგადოება პიროვნულის შეგრძნობისა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც კერძო განცდა თვისი ბუნებით თანაზიარია საერთო განცდისა, როდესაც თანაჰდევს მას საკაცობრიო თვისებები თუ ხასიათი თანაც ისეთი მძლავრია და დიდი, რომ მისი ძალა და სირღმე სავსებით ჰყოფნის ყველა სხვა. ამგვარ შინაარსს სახეც სათანადო უნდა ჰქონდეს, ცოცხლად მხატავი.

ამას მიაღწია ბესიკმა. ეს მას შეაძლებინა იმ საშინელმა ტანჯვამ სულეერმა, რომელმაც ბრძმეტში გამოახურვა მისი არსება და ჩამოაყალიბა მისგან ამ შემთხვევაში ახალი სახე თითქო ზეკატური. სხვა ნაწერებში უბრალო მელექსეე, ბესიკმა ასახა თავისი პირადი საბედისწერო განცდა ისე ფართოდ, ისე ძლიერად და ცოცხლად, რომ ამ გრძნობის ხატმა გაარღვია მოჯადოებული წრე პიროვნულის განცალკევებისა და აგვისახა იგი გრძნობა საზოგადო მოვლესაკაციობრიოდ, ისევე უშრეტად, როგორც არის თვით გული კაცობრიობისა. ბნელი ძალებისაგან ჩაშლილი მზიუსიყვარულის ხანძარი ისეთის ელვარებით არის აღგზნებული მის ლექსში, რომ ამ სასტიკი განცდის ალალმა ყველასათვის სავსებით დამაკმაყოფილებელი ხდება ყოველთვის. ბოროტისაგან ბყრობილი ნათელი მიჯნურობის და ამისგან. წარმოშობილი ტანჯვის მგოსანი ბესიკი.

ბესარიონ გაბაშვილი—გვარის მშვენება, გაბაონთა ისტორიული შთამომავლობის. ტურფა სარო ლაღად ზრდილი, გარდაფუჩქვნილი, სიყვარულით ჩაბუგული. უხდებოდა მწვანით მოსა ჭაბუკს: მაისის ვარდმან ფურჩქვნილმან, ბესიკმან მწვანით მოსილმან ბულბული ათრო.. აუცილებელი იყო ბესიკასთვის ლამაზათ ჩაცმა: ერეკლე მეფის სასახლის კარი ყურამდინ იყო იმისთვის ღია. მისი მამა ზაქარია—ღირსი მოძღვარი განათლებულის თეიმურაზისა. რწმენის კაცი უტეხად მბრძოლი. ანტონ კათალიკოზს I-ს იმან აჯობა სჯულის შეგნებაში, ბრძოლაში; განართხო მიწას იგი გოლიათი. ძლივს ღა აღსდგა ერეკლესგან ხელთაბყრობილი. განვითარებული ბესიკი მეცნიერი მამის ხელში, მეფის შვილებთან. მგოსნობის ნიჭით შემკობილი მომღერალი, კარგი მეთარე. სახელმწიფო საქმეებშიც აღღოიანი, სარწმუნო თვით ერეკლესგან: მას მიანდობდა სახელმწიფო საქმეს სამძიმოს, სეფექალთათვის ხანუკვარი იგი ჭაბუკი. მოსიყვარულე გულით მკული, ნათელი ზნეობით; მშვენიერის ყოფა-ქცევისა. რაინდი თავდადებული თეიმურაზის ქალის ანასი, ჩვილით ყრმობიდგან მასთან შეზრდილი. ანა ეხლა ბედშეცვლილი ქალი, დიმიტრი ორბელიანის ქვრივი (1772 წ.) თავის ძმის სახლში დაბრუნებული. გარდაშლილია მის მშვენება შემწიფებული. რა ლაღანაა!

თვალთა ნარგიზი დამდაგისი! მუნ მელნის ტბის მორევსა მზე მშვენებით მორევსა. გიშრისა ტბანი განზიდულნი, მიმზიდველნი ჩემის გულისა! იქ თეთრსა ზღვებსა შავნი ნავნი მიმოსცურავენ, თვალნი ლამაზნი ეშხის მღერით მიმოარობენ იგი თვალნი მე, მათს არშიყს, ისარს შკვრენ ბაიათი......... მცხინვარე თვალითა ჰინდლაშქარნი გარს შეისარეს, შავნი ჰინდნი მათ დარაჯად ეარებიან. წარბა წვრილი. მშვილდ—ქამანდი. ყორნის ბოლო ის არის! ინდოა, რაზმებმა მშვილდმოზიდვით დასერეს გული!....... სცვიან ჰინდი ჯარნი დარაზმულნი ბრძოლისა ველისა, სავსე სახესა მთვარის მზგავსსა, იმისსა დარსა. თვით თუთი ლაღომს გავსებული მის ბადრ სახეზედ! ზამბახ ლაწვებზედ გარდაშლილი მაისის ვარდი! მუნ ბროლის ცაზედ ვარდსა ბაღი გაეწითლა ბრვეებით......... პირსა მთვარესა მცინარესა ჰშვენიან ხალნი. ახ, დაღად გულისა მედაღვიან მის ქუფრნი ხალნი!....... ვარდის ბაგენი, სად სადაფი ძოწს მოუზღუდავს, ლალს მოუცვავს ბარაინის დარანი. იქ იაგუნდი მოცინარობს, კბილთა შუქნი გამოკრთიან, ციაგდებიან. ძოწ—ლალ ბაგეო დამდაგეო!..,., ზილფნი ნაშალნი, თხზულნი დალალნი. თმანი გიშრისა ელვარებენ ტერფამდინ. მგვლენი. თმა ღულამბარ—წინამოს;..... ყელსა ბროლებსა უტოლებსა გველი ჰყავ მცველად. მან ყელს ალმასი ისურვა: კეკლუცობა სატრფიალოდ ისურვა! ზამბახს ყელი სურისა; მისი ტრფობა მსურისა!......... ბროლის მკერდსა შუქი ჰნითობსო სხივი დაჰნათობს. შუქურ—ფიცარი საფიცარი ტურფად მკულია: ორნი ობოლნი მასზედ ბმულია. იგი ნარინჯნი ორნი ტოლნი მიქმონენ ხელად!..... .... უსხენან ალვას ორნი ნორჩნი მოსარხეველნიე: მკლავნი მომკლავნი; თითნი თლილნი, მოსახვეველნი...... ხმა სირინოზ ლამაზ ხმოსანი, ამოდ და წყნარად სიტყვა მესმა მზისა ენისა: შეტკბობით იცის მან ღუღუნი. თვალთშებნიდითა....... წერწელი წელი ქვეყნის მწველი. ზარიფი წელი. მას ლაეკვარნეს მის მნახველნი ქვეყანად მსვლელნი. ტან-ნაკვთად სრული, ალვა რგული, შაშჰრა-სოსანი, ტანი ტატანი გულწამტანი უცხოდ შარები! წარმტაცა გული მის მიმოხვრამ, მისმა ცილმა; დამწვა უცეცხლოდ მისმა წელის მიმოტანამა......... ან, ალვაო ტანადობით; მან, ბულბულის მიგიგავს ენა; მან. გამობრწყინავს პირ ისახე; დახატული ხარ შენა....... ჰინდთა ხელმწიფეო; ონ, ოდესმე დამიკონე!.......

—ამ ქვეყნად?!

—რატომ, გენაცვა?

—ვაი თუ..........

იმედი ჰქონდა ბესიკს, აუსრულდებოდა ეს ნატვრა: ანა თანაუგრძნობდა მას ნეტარ იყო იგი ზანი, მშვენიერმან რომ უწოდა მას თვის მეგობრად. მურაზით სავსე ახალგაზრდა ვერ დასჯერდა ამ ნელთბილ გრძნობას: მშვენებით სავსემ ანდამატივით მიიზიდა იმისი გული ეშხით დაათრო. ქალის ტრფობა ბესიკს გულში იმთავითვე საიდუმლოდ ესახა; ის სიყვარული ან გარდიფურჩქნა, გარდაიშალა. ქალის სახე იმისათვის შეიქმნა მახე. ანამ იგრძნო მძლავრი ძალა მის სიყვარულის და უარ არ ჰყო, გაიზირა გულნათელმა იმისი გრძნობა. ადრეც უყვარდა ეს ვაჟკაცი მისსა თვალებისა. ეხლა....·. ვარდს ბულბული შეეწყალა, ლალის ფერად გარდიმალა. მიჯნურს მიჰხვდა სულის ძალა. ზეკაცად იგრძნო თავის თავი, რჩეულთაგანად: იგიც არის თავსაჩინარე, იმასაცა აქვს დასაბინარე! გაუძლიერდა იმედები, უკვე ჰქონდა ნეტარების მოლოდინი, გულს ჩავარდნილი. უსაფუძვლო არ მოსჩანდა მისი მილტოლვა: ბესიკი უკვე რჩეული, დიდად განათლებული მგოსანი, ერეკლესაგან მიჩნეული, სახელმწიფო სამსახურში მისანდობელი; აზნაური ბირად ღირებით წარჩინებული, თავადებთან შეტოლებული. ანა ქალი უფლისწული, მაგრამ უკვე ხელშეხებილი, თავადის ქვრივი. იმათ შორის გარდუვალი მზღვარი აღარ სჩანს. ძალიან დიდი დამცირება აღარ არის ანასათვის დაეტოლოს მშვენიერ რაინდს. ესეც მოიქცა: თვითც გამიჯნურდა, დაუტკბა ბესიკს, დაუახლოვდა. ქალი ეხლა მისი იყო თავდადებითა; მაღრიბს მზეობდა ბესიკისთვის იგი ლამაზი; მწყობრად, ტოლად დაღულუნებდნენ. ვაშა მას

# ვაჟა-ფშაველა

**მოგონება**

ვაჟა გავიცან 1900 წლებში ს. მაღაროსკარში, მისი ძმის პოეტის ბაჩანას ოჯახში. სულახლად დანიშნული ხევსურეთში მასწავლებლად ჩამოვხდი ბაჩანასთან გზად მინავალი სადაც პირველად ვაჟა გავიცანი...

ვაჟა წარმოდგენილი მყავდა, როგორც ზორბა, ბრგე, და ძლიერი ვაჟკაცი ჩაჩქან მუზარადში ჩამჯდარი; მაგრამ გარეგნობაში პირველ შეხედვისთანავე მოვტყუვდი. თვალწინ დამიდგა გამხდარი ფშაველი, გაქონილს გახუნებულ ჩოხაში და შემოცვეთილ ნაბადში გახვეული.

მაგრამ პირველიდანვე მისი ამაყი და დარბაისელი სიტყვა, რომელსაც თან ახლდევდა მეფური იერი, გულს ჩასწვდა თვისი სიძლიერით.

ჩვენ, სულ მალე ჩავჭოვაგდეთ შინაურული საუბარი, ის მაცნობდა ხევსურეთს, მთას და მირჩევდა მოვქცეულიყავი ადგილობრივ ზნეობასთან შეფარდებით.

ამ დროს დუშეთიდან ამოგვიარა ექ. მიხ. ზანდუკელმა თავისი მეუღლით (ტომით რუსი.) ჩვენს საუბარში ქ-ნი ზანდუკელიც ჩაება და რასაკვირველია, ვაჟას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მაგრამ მან მალე ფრონტი იცვალა როცა ვაჟამ დაატრიალა სახელები: გიოტე, შექსპირი, ბაირონი. ქალი საოცრად გაკვირდა...

სალამოთი ვაჟამ გადაგვიპატიჟა თავისთან ს. ჩარგალში, რომელიც ორი ვერსით გვშორავდა.

მალე მივუახლოვდით ვაჟას ერთსართულიანს, დაბალს სახლს, პატარა ფანჯრებით და ვიწრო, დაშლილ აივნით.

ოთახში შესვლისას გვეცა ცხვრის ტყავებისა და ქონის სუნი; ჩვენ ველარ დავმალეთ ამის გამოწვეული ჩვენი უკმაყოფილება რაზედაც მან გვიპასუხა: „მე ეს მირჩევნია ქალაქის კომფორტს „ჩიტი სადაც დაიბადება მისი ბაღდადიც იქ არისო". მასპინძელმა მალე მშვენიერი ფშაური სუფრა გაგვიშალა როცა ჩვენ ის ვადღეგრძელეთ და ჭიქა გაუშვირეთ, მან ჭიქა უკანწაიღო: „ეგ ქალაქური ადათია, ჩვენში არ ვიცითო" დილით გვიან გამოგვეღვიძა და რო გავხედეთ, ვაჟა ბაღში ჰბაროდა. საუზმეზე ვაჟამ თაროდან ჩამოიღო ქისტებისგან წართმეული დიდი მუზარადი, რითაც ფშაველები დღეობაში სვამდენ ლუდს—5—6 ბოთლს, ეს მუზარადი ხალხს ჩაებარებინა.

ექ. ზანდუკელმა ამ მუზარადით გადიღო ვაჟას სურათი. მალე გამოვემშვიდობეთ ვაჟას; განშორებისას, მან მთხოვა ხშირად მეარა მასთან. მართლაც მალე მჭიდრო კავშირი გავაბი ვაჟას ოჯახთან. მაგრამ ორი წლის უკან სხვა და სხვა მიზეზებით დავტოვე ხევსურეთი...

* * *

ხევსურეთიდან დაბრუნებისას, მე ვმუშაობდი „ცნობის ფურცელში", რომელსაც ჯერ კიდევ ხევსურეთიდან ვაწვდიდი ეტნოგრაფიულ წერილებს. ალ. ჯაბადარის მიერ დაყენებული იყო ევროპიულ წესზე, ტირაჟი ჰქონდა დიდი და ვაჟასაც გაზეთში საპატიო ადგილი ჰქონდა დედაჩემმა [illegible]-დღეს ერთ დათმობილი. აღელვებულად შემოაღო ჩემი ოთახი და აღელვებულმა ხმით მითხრა: ვაჟაფშაველა გკითხულობსო. მე მაშინვე ფეხზე წამოვიჭერ და მივეგებე მაღალ სტუმარს. სადილობის დრო ახლოვლებოდა და სასწრაფოდ გავეშურე ბაზარში ნადირის ხორცის საშოვნელად. ვიცოდი რომ ვაჟას ეამებოდა. მალე სახლში დავბრუნდი დათვის სამწვადეებით. დედაჩემს ეწყინა რომ დათვის ხორცი შევკადრე ვაჟას და ბოდიში მოიხადა, მაგრამ ვაჟამ დაამშვიდა; „ამის მეტი სხვა არა მასიამოვნებდა რაო". შევყევით სმას, საუბარს და შუა ღამე გადასული იყო, როცა ვაჟა გამოგვემშვიდობა. მეორე დღეს ვაჟამ მძიმე ნაბიჯით შემოაღო რედაქციის კარები. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და შემოეხვივნენ პოეტს: შიო ჩიტაძე, ვალოდია ლორთქიფანიძე, შაქრო ბილანიშვილი, ალ. ჯაბადარი, გიორგი ლასხიშვილი, ილიკო ალლაძე, განდეგილი. რუსეთ-იაპონიის ომის ხანა იყო და ახალ ამბების მოლოდინში ყველას მოუთმენლობა გვეტყობოდა.

— ვაჟა, რას ამბობენ მთაში ამ ომზე, შეეკითხა ყველამ ერთხმად.

— ხალხო, გაიგეთ, რომ მთა ბარზე ნაკლებ არა ფიქრობს. თითეული ფშაელი თუ ხევსური ათას ლეგენდას დავ თქმულებას ჰქმნის იაპონიის ჯარის სარდლებზე. ხალხის სიყვარული იაპონიის მხარეზეა. უძლეველია, ვაჟკაციაო, რაც უნდ არ ეწვალოს რუსეთის დათვიო".

ამის შემდეგ გადიწია გაქონილი ჩოხის გული, ამოიღო ლექსები და გადასცა ილიკო ალლაძეს დასასტამბად. თანაც დაატანა:—ჩემო ილიკო, ეს კარგად ვიცი რო ჩემი ლექსები დაიბეჭდება, მხოლოდ იცოდეთ, მთიდან გროშებისთვის ჩამოვსულვარ, ჯამაგირი მე არა მაქვს და სახლშიც არა გამაჩნია რაო.

ალ. ჯაბადარმა მოახსენა: ბ, ვაჟა, თქვენ დაგენიშნათ უმაღლესი ჰონორარი —20 კაპ. სტრიქონზე, ეხლავე ჩაბძანდით კანტორაში და თქვენი ხვედრი მიიღეთო.

იმავე დღეს, ვაჟამ მიმიწვია თავისი ძმის, სანდროს ქარწილში მეჯვარედ. ვახშამზე თითონ თამადობდა და გათენებისას ყველა მიაძინა, მხოლოდ სმაში ივანე ბუქურაული მისდევდა ერთი მხარდამხარ. შემდეგ დღეს, ჩვენ ორნი, მოვხვდით "ქოსების" სარდაფში, სადაც თავანკარა ღვინო იშოვებოდა. ჩამოვაგდეთ ხანგრძლივი ბაასი თანამედროვე მწერლობაზე. აქ ვაჟამ განაცხადა: სანდრო შანშიაშვილის დიდი იმედი მაქვსო. სხვები ყველა ხელის ჩაქნევით მოიხსენია. შეზარხოშებულმა სთქვა „აკაკიზე: მესტვირე მე ენას მიწუნებსო." ვაჟას თავის თხუზულებებიდან მარტო „არწივი" ახსოვდა სადეკლამაციოდ. ხალხურ ლექსებიდან კი უყვარდა:

„ამბობენ მახვეები
ხევსურებ გავაქციეთა,
წითლებ ყვითლები დროშები
საძელეს დავაყრიეთა.
იმათ ნასრევი ისრები
იმათავ შავასრიეთა.

შუაღამისას, როცა ქოსებმა დარაბები აუგდეს, ჩვენც სარდაფი დავტოვეთ და გამოვემშვიდებეთ"

მეორე დღეს ვაჟაც მთაში გაემგზავრა.

* * *

1913 წ. ვაჟამ მომნახა „სახალხო ფურცელის. რედაქციაში. თებერვალი იყო საზოგადოება ემზადებოდა ვლადიმერ მესხიშვილის იუბილესთვის. ამ დროს მე გატაცებული ვიყავი ახლად გამოსული კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის ნიჭით და ჩემი აზრებიც ვაჟას გაუზიარე. სულხანიშვილმა იუბილეისთვის დასწერა „სამშობლო ხევსურისა„ და „ადრესი," რომლისთვისაც შესაფერი სიტყვები მაინც ვერ მოენახა. იმავე დღეს მე და ვაჟა გავემგზავრენით ავლაბრის წმ. მარინეში, საცა ნ. სულხანიშვილი გუნდს ამზადებდა. მე გავაცანი ერთიმეორეს. როგორც სულხანიშვილი ისე გუნდი, ცას დაეწივნენ ვაჟას იქ მისვლით.

პარტაზე ჩამოჯდა, ოთახის ბოლოს. გუნდმა დაიწყო "სამშობლო ხევსურისა" ვაჟას სახე აელეწა, როცა სიმღერა დასრულდა, მიიჭრა სულხანიშვილთან და გადაჰკოცნა იმ მშობლიურ ჰანგებისთვის, რომელთაც ჰქონდათ გამოძახილი ვაჟას გულში.

სულხანიშვილმა მადლობა მოახსენა და ვაჟა შეჰპირდა ლექსს მეორე ნომრისთვის. და მართლაც მეორე დღეს მესხიშვილის ადრესისათვის შემდეგი ლექსი დასწერა:

„ქართულ თეატრის მშვენებავ,
ღმერთმა აგხადოს წყენაო;
ვნებათ რაზმებში მებრძოლო,
სალამს მოგიძღვნით ყველაო.
აპოლონისა ტაძარი
შენ თვალთ ცრემლს დაესველაო,
ქართულად ეხვეწებოდი
ქართველებს მიე შველაო.
ერთ დროს შეწირვა მსხვერპლისა
ძალიან გაგეძნელაო.
მაინც არჩიე უცხოურს
სამშობლო დედის კერაო.
სამშობლო დედის მუძუსა,
სხვა შაედრება ვერაო
ეს თურმე კარგად გცოდნია,
მით გადღეგრძელებთ ყველაო..."

იუბილეიზე სულხანიშვილმა გაიმარჯვა. ის და მე გახარებულები ვჯდებოდით კიდეც ბანკეტზე, რო მსახურმა გვაცნობა: „ვინმე ნაბდიანი კაცი გეძახითო."

გაველით და დაგვიხვდა ვაჟა. მაშინვე ჩაგვსხა ეტლში და პატარა ხანს უკან მასთან ერთად ვისხედით ვერაზე ერთს ვიწრო სარდაფში. ვაჟა აღელვებულიყო.

—კიკო, მე ღირსი არ შევიქენ მესხიშვილის საღამოზე მიპატიჟებისა ამიტომ კარში დავრჩი და მხოლოდ ველოდი შენ გამარჯვებას. მართლაც ბრწყინვალედ გაიმარჯვე და მიხარია, მხოლოდ ერთს გთხოვ: ტაშს არ აჰყვე. ტაშს დაგიკრავენ და მშიერს მოგკლავენ! აქ ვაჟამ დაასხა ღვინო და კიდევ ასურვა გამარჯვება სულხანიშვილს.

მეორე დღეს, ვაჟა მთაში წავიდა...

**

უკანასკნელად ვაჟა ვნახე წმ. ნინოს სახელობის საავადმყოფოში. ლაპარაკის თავი აღარცკი ჰქონდა. საამქვეყნიო არა ეტყობოდარა; მაინც მოიკითხა ნაცნობ მეგობრები და უფრო კი კომპოზიტორი სულხანიშვილი, ალბად იმ წინათგრძნობით, რომ ისინი სულ მალე ერთმანეთს შეხვდებოდენ სამუდამო ცხოვრებისა და დიდების გზაზე.,.

**დავით პავლიაშვილი.**

# ონინ

ლლევების ჩრდილში ხარ მზესავით მკერდ გიღეღილი,
თეთრი ვირები შენს გარშემო უხმოთ დადიან.
გათრობს სამოთხის ყვავილები. მწიფე ხეხილი.
გშვენის ღიმილი, როგორც ხმალი ამაყ დადიანს.

შენი სიმღერა ახლად აყრილ ვაზის რტოებით
გავს შემოდგომის უკანასკნელ ფოთლების მოთქმას.
იგონებ წარსულს სინანულის გაფართოებით
რომ სიყვარულიც დაავიწყდა დაღუპულ მოდგმას.

მორბიან ტყიდან დაისრული ნაზი შველები
და ხის ტოტები ილუნება ბნელ ავგაროზით:
თავგანწირული შეშინებულს მოგეშველები—
შენი თვალები დამტანჯავენ უცხო კაროსით.

გავყვები ერთგულ მწევარივით შენს ციურ რონინს:
თითქოს ავმაღლდი როგორც ქრისტე მწირ სამარიდან.
მინდოდა დაფნის გვირგვინები მარადო ონინ,
მაგრამ ეშაფოტს ამ სურვილმა ვერ ამარიდა.

ქ. ქუთაისი.
აგვისტო 15.

**რაჟდენ გვეტაძე.**

# შენს იქით.

გახდა ოთახი ჩემი მოსისხლე
მოდის ახალი უბედურება...
სიამაყეში ცრემლით მოსილი,
ვტირი არავის არ ეყურება.
ვარ უსათუოდ ყველაზე მეტი
და ამატირა ისევ სიშორემ
ეს ყველაფერი და მიწის ბელტი
მთვრალი ცოდვების სისხლით ვიშოვე.
მაწამებს ღამე და ხვითისმშობელიც
წამების წამებს ელის ალერსად
გადაიკარგა თანამგრძნობელი
დაწყებულია ხმალის გალესა.
მოდი, კისერი მუდამ მზად არი
ქვეყნიერებას ზიზღი თამამად
ჩემთვის ერთია ყველა ზამთარი
და ცრემლის ჯაჭვით მინდა დაგაბა
იცი ყველაფერს ავიტან მწარეს
წმიდა გოდების ღმერთად ქცეული
მომენატრება მიწა სამარედ
შენი ფეხებით გადარღვეული.

**† გიონ საგანელი.**

დღეს, როს გაეღო ცისკარი! მოსწყურებოდა ამბორება, ჰსურდა შეხება. ვერ გაებედნა კრძალვით აღსავსეს. ფიქრთა არეში უალერსებდა, უსურვაზივით ეხვეოდა იმის უმანკო აღნამებასა.

შეარყია ნათელმა ბნელი. ახალი სხივი სიკეთისა ბოროტით მოცულ ქვეყანაზედა, სიყვარულისგან ნაშობ სიკეთის ახალი სახე. მაგრამ... არ სძინავ ბნელისა. აიქოჩრა იგი ბოროტი, სასტიკმა ძალამ შეიმაღლა გესლის მახვილი. მეფის სასახლემ დაინახა ქალ-ვაჟთა შორის ტრფობის სურათი. შექმნა სისინი, მითქმა-მოთქმა. სატანის გოროზობამ დასთხია შხამი.

—როგორ?! ვიღაც მღვდელის შვილი ერეკლეს სიძე, მისი დის ქმარი?! შეუძლებელია! უფლის წულის ქმრად აზნაური?! არ ეგების ეს. თავს წაადგების დიდდიდებულებს. მყის დაიშალოს ეს კავშირი მეფის უღირსი, ორბელიანთ შამდაბლებელი. ქალმა თვით უთხრას თავხედს უარი, თავისივ ხელით აიგლიჯოს მისი სახე თავის გულიდან!

გამოძებნეს ნაცილი ქუფრი:

—ბესიკი რომ შემოგეტრფის, გეალერსება; იქ სხვას ეხვევა, სხვა მიჯნური გასჩენია!

სიყვარული... შურიანია სიყვარული, მსხვერპლად მოითხოვს მთელს არსებას სულით-ხორცამდინ. არავითარი განაწილება! არავითარი სხვისი ტრფობა თუნდ წამიერი თინათინი ვერ შეარჩენს რაინდ ავთანდილს ფატმანის სახეს. განრისხდა ქალი, აილეწა ბოროტის ალით და... გადასხიპა გულის სიმები ალესილი ბასრით ზვიადობისა: მხიარულის სახით მისულის თავისსა მიჯნურს ჩაურაზა სასახლის კარი. შეარისხა ვარდმან თავმომწონები, ისარი სტყორცნა დასამონები; ვერ მიჰხვდა ისარ განაწონები, მისთვის შეექ-მლმნა ცრეთა ფონები .. ჩატეხილი ხიდი. ოქროს დანა ეთერს გულშია. მუხის მარგილზედ კარგი გიორგი. სიკვდილის დარი სევდა ბნელი ბესიკს გულშია...

ჩაიხედა ბესიკმა სულში, არაფერი ბრალი არ მიუძღოდა. რა ბრალი ექმნებოდა მზიურ ტარიას ნესტანის წინაშე?! უნდა გაეგო, რისთვის შერისხა ბეკის ვარსკვლამა. ხვეწნით მიაპართა ნაზსა იასა, სეფექალს ტურფას: ვარდსა რა ვუქმენ ვართა, სარაზი? ამაყად მწერალი ჰნახა ლამაზი; მანცა განაგდო; გარეგან გაზი! შენგან გვაჩნია გულებსა ხაზი: ჩვენ დაგვთმეო და სხვას ემონები?! რა ია გაუწყრა, ნარგის მიჰმართა; ეხვეწებოდა: გზა წარმიმართე, ვარდს მამუდარე, ალერსი ჩართე; შემამითვალოს, რა ვუკულმართე. ქალი მას დაჰხვდა შებრალებითა, ცრემლისა სცვარვიდა მორიდებითა. უთხრა: ყარიბო, ვარდი მით არის გულდაკლებითა, რომ რომ იგი დასთმე სხვისა ხლებითა! რად არა ჰრიდე განსაკრძალებსა? ნებით მოჰშორდი მისსა თვალებსა. არ შეგიბრალებს, აღარ მიგიღებს კოკობი ვარდი. ეხლა კი ნახა, რა მოუგონეს მოუგონები; თანაც წაართვეს თავსამართლად ყოველი ღონები. დაბრუნდა ყოვეგნით შეუბრალები. გადმოუტევა თვალთა მდინარე პირველად მისსა გულის მომდინარე. მიხვდა აწ მასაც წუთისოფლის მკვლელი ბჭყალები!.

სწორე გზიდან გრიგალისგან ატაცებულ-გადატყორცნილი, ბნელი ძალებისგან შეუბრმლად ლახვარსობილი, შეძლებასაც მოკლებული, პასუხი ეგო, გაშრა ბესიკი; თითქო დაკარგა თვით მიზანიც არსებობისა. მოიცვა ბნელმან ქუფრხვევით თვალცრემლიანი იგი ტანჯული. ერთადერთი შუქი მოსჩანს მიუწთომელი: ანას აჩრდილი შორეული, პირმიქცეული და დასტრიალეს, თავს ევლება იმ თვის ხატებას. სასახლის ახლო შუკა, უბანი; სოლხინო ბაღნი, წალკოტები; ყველა ადგილი, საიდანაც ჩანს სატრფოს ბინა. კარგს მოქმედის სევდარი ერთი შეღავათი აქვსო: შეუძლიან ეამოჰხატოს თვისი ნაღველი, სიტყვის ქსელებში აქარგოს იგი. და ჰწყობრად მთქმელი ბესიკ მგოსან დაჰკვნესის თარზედ; მოსთქვამს; შესჩივის:

სამა/თლიანი გზა დააუგდე, დამიხშე კარი. რად მოუსმინე ბოროტ ენას, არ გამიკითხე? შენი ბესიკი რად დააგდე, შეუბრალადო? ხომ შენი მოჰკლამსო ცეცხლის ალები. ჟგონებ, შეგცოდე? თუმცა რა გცოდე, ვიყო შემცოდე, შენგან წყალობით ნუ მელხინების! გიმუხთლო ესე. ვიყოლცა მკვნესე, შენგანცა კიდევ ვიყოლცა სხვების. აწ შენა გშორავ, როგორ ვიყო, ვიცხოვრო?!.., ასე მეგონა, შემრჩებოდა ეგ შენი სახე. ანთებულის ცეცხლისა შესაწველად ხელი შეგახე. რად არ ;ვიცოდი, არა გყვანდი შენი საფერი... მე შენის ეშხით მთვარეს შევტრფი, ღამეს ველი გარე. ერთხელ მაღირსე შენი ხილვა შენსა მმზირესა. ჩემდა საუბრად აღძარ ენანი. მკვდარი ბესიკი მოდი მნახე, ჩამიდგი სული... დაბერდა ყური სევდისა ჭური; დაბინდნენ თვალნი შეუმკრთალნი; დადგესცა ხელნი. სწყურის გონებას სამარადოდ შენი სურვილი. სული რბის სწრაფად შენსკენ სრბოლით სევდა ჭურვილი.., სევდის ლაშქარი შემომიხდება; სურვილის ცეცხლი მომეკიდება; სულთქმა და ტირილი გამიხშირდება; სიცოცხლის მფრინველი გამიფრინდება... შენ მოგშორდი, მკურნალო, ვითარ მექმნეს შვებანი ნაცვლად შენსა ვინ ვპოვო?! დაგკარგე სატრფო, სემი ცხოვრება; დაგკარგე სამოთ.ე და უკვდავება. მოგშორდმ ·სულსა აღნაგ-შემკულსა, ბრძენ-განკაზმულსა, ანდამატ გულისა ჩემთვის მოსრულსა... ჰოი, რაბაბად საკვირველ არს ჩემბერ გაძლება, მარადის სულთქმა და ტირილი და ქვეყნად რება!... მე გული სრულად შემოგწირე, შენ ხმა არ გამეც; მითხარ სიცოცხლის სანაცვალოდ ნეტავ რა მომეც?

— ჩემს მგოსანს ჩემგან უკვდავება მოგინიჭებია და... მეც შენთანა!

— ანას პასუხი მოესმა ბუნდათ, ფრთიან ლექსებით მოწვეული მისი გულისთქმა. მოედო ქალაქს ბესიკის მღერა, მკვეთრის სიტყვის, ლამაზ ლექსის შემფასებელ საყვარელ თბილისს. ბესიკის ლექსი გაისმოდა შუკა—უბანში, ყველა ქუჩაზედ; აივსო თქმებით მთელი ჰაერი. ყველა მღეროდა, მგოსნის სევდას დაღიღინებდა. სასახლეშიც გზა გაიგნო შავფრთიან ლექსმა. რას დაიჰერდა დახშილი ვარ: ყოველს საბრკმელას გააპოს სიტყვა. ანას ყურამდინ თუ მივიდა ბესიკის ხვეწნა, მის წამება. ქალის გული იგრძნობდა ნამდვილს; ფიქრიც ეტყოდა: ნაცილი იყო ბნელისაგან ნაკარნახები! მის ნებისყოფა, მისი სული ტანჯულისკენ მიიხრებოდა. ქალსაც უყვარდა იგი ოდემე; ეს სიყვარული ჰეშმარიტს სავალს შთაგონებდა.

კარის კაცთა, სეფექალთა მითქმამოთქმა გამრაელებული. დედებულთა მკაცრი სიტყვა ბოროტით სავსე. სულით.ხორცით კუზიანი ქაბუების სიცილ--სისინი,

— დაჩუმე უტიფარი, ლაგამ წახსნილი: მისი მღერა შენის კარის დამცირებაა.

— ვბრძანებ, დადუმდებს, თორემ განვაძებ თვის მამას გზაზედ!

ბედშავსა ბესიკს როდი ესმის ერეკლეს რისხვა. განწირულის გრძობათ ფურთქენა შიშით ნცყუჩი?! ისევ მღეროდა ჰირანაჰარბი სევდის მგოსანი. ეტყობა, ქალმა მიაბყრო ყური იმის სევდის ხმას, მოილბო გული. მეფის ბრძანება: მონასტერში მონაზონად ნორჩი სიცოცხლე!... ლამაზი ანა შავ ტალავარში; სხვა შავოსანის თანახლებით დახურულ ეტლში. გააქროლებენ გულქვავები ბნელ საკანისკენ, ცოცხლივ დაჰმარხვენ პირმანგ მშვენებას. იგრძნო ბესიკმა. [illegible]ანსაცდელი, სატრფოს დარაჯობს. ჰე, მოჰრა თვალი: შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი; ორნი ტოლნი შავმოსითა მჩინარნი, ყარიბისა ცრემლის დამადინარი!

— როდი იშლის თავხედობას იგი ბესიკი: ისევა მღერის!

— მაშ მეტეხიდან!

გულდალეწილი ბესარიონ იმერეთში, სოლომონის კარს. რაჭაში მამული მეფის ბრძანებით. 1779 წელს სპარსეთის ყეინთან მინდობილობით. 1780 წელს რუხის ბრძოლაში. 1789 წელს კრემენჩუგში დესპანთა შორის. აქ საზარელი ამბის ცნობა: ანას სიკვდილი. 1790 წელს დავით მეფის დეპანალ პეტერბურგს. იქიდან გზაზედ იასაში პოტემკინთან. იქვე მისი გარდაცვალება 24 იანვარს 1791 წელს. იმ ქალაქის ტაძარშია მისი საფლავი.

უცხო ქვეყანაში სულთმობრძვავ ბესიკს გამოეცხადებოდა ანას აჩრდილი: ნათელით მეუფე მას გამოგზავნიდა ტანჯული სულის წასაყვანად. გაუღიმებდა მომაკვდავი. ერთად თუ ვლიდნენ ჰაერთ სივრცეში. მიიღწია თავის საწადილს: სულიერად იქორწინა თავის ანასთან. დაიმსახურა: დაიხსნა იგი უფსრკულიდან დავიწყებისა. ერთად ვხედავ უკვდავთ სამარეს ჩვენს პანთეონში. სიყვარულმა შეუერთა ბესიკი ანას; ნუ [illegible]განაშორებით!

**ვახილ ბარნოვი.**

რედაქტორი: გიორგი ლეონიძე.

# უველა მატარებლების მიმოსვლის ცხრილის შეცვლა 1922 წ. 1 სეკტემბრიდან

**მატარებლების გამგზავრება** თბილისიდან უკანასკნელ სადგურამდე | **მატარებლების მისვლა** თბილისში უკანასკნელ სადგურიდან

## თბილისის დროთი

თბილისი-ბათომი-ფოთი და მისი შტოები

| მატარებლების № № | | | | სადგურები | მატარებლების № № | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 | 6 | 4 | 2 | | 1 | 3 | 5 | 21 |
| 11,45 ღ. | 10,30 სღ. | 11,40 დილ. | 6,15 საღ. | თბილისი | 8,25 დილ. | 6,00 საღ. | 6,00 დილ. | 3,25 ღ. |
| 1,03 ღ. | 11,20 ღ. | 12,41 დღ. | 7,04 „ | მცხეთა | 7,43 „ | 5,07 დღ. | 5,25 „ | 2,24 „ |
| 5,50 ღ. | 1,24 ღ. | 3,4 „ | 9,04 დღ. | გორი | 5,57 „ | 2,56 „ | 3,38 „ | 10,07 საღ. |
| 9,35 დილ. | 3,18 ღ. | 5,8 „ | 10,49 საღ. | ხაშური | 4,30 ღ. | 1,16 „ | 2,15 ღ. | 6,43 „ |
| — | — | 6,15 „ | — | ბორჯომი | — | 11,55 დილ. | — | — |
| 2,18 დღ. | 6,52 დილ. | 8,59 საღ. | 2,30 ღ. | ზორაპანი | 12,17 ღ. | 8,50 „ | 9,51 დღ. | 1,00 დღ. |
| — | მოდის | 12,40 დღ. | — | საჩხერე | — | 4,54 დღ. | — | — |
| — | მოდის | 11,50 ღ. | — | ქუთაისი | — | 5,30 დილ. | — | — |
| 7,36 ღ. | 9,35 დილ. | 12,32 „ | 5,21 დილ. | სამტრედია | 9,44 ღ. | 5,07 „ | 7,14 ს. | 6,25 დილ. |
| — | — | 2,13 „ | — | ახ. სენაკი | — | 2,19 ღ. | — | — |
| 11,58 ღ. | — | 3,40 „ | — | ფოთი | — | 12,44 „ | — | 5,00 დილ. |
| 3,00 ღ. | 1,00 დღ. | 4,50 „ | 8,45 დილ. | ბათომი | 6,00 ს. | 12,15 „ | 3,25 ღ. | 10,00 „ |

თბილისი-ბაქო-დერბენტი-პეტროგრადი

| მატარებლების № № | | | | სადგურები | მატარებლების № № | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21 | 5 | 3 | 1 | | 2 | 4 | 6 | 22 |
| 5,40 დღ. | 8,00 დილ. | 9,30 ს. | 11,00 დილ. | თბილისი | 3,00 დღ. | 7,15 დილ. | 8,25 ს. | 9,45 დილ. |
| 11,53 ღ. | 11,33 დილ. | 1,27 ღ. | 3,00 დღ. | აქსტაფა | 11,23 დილ, | 3,21 ღ. | 4,45 დღ. | 3,51 ღ. |
| 7,39 დილ. | 2,54 დღ. | 5,15 დილ. | 6,30 დღ. | ელისავეტპოლი | 7,55 დილ, | 11,32 ღ. | 1,18 დღ. | 9,37 საღ. |
| 12,00 დღ. | 5,12 დღ. | 7,50 დილ. | 8,55 დღ. | ევლახი | 5,16 დილ. | 8,40 საღ. | 10,47 დილ. | 4,50 დღ. |
| 10,23 ღ. | 10,00 დღ. | 1,23 დღ. | 1, 53 ღ. | აჯიკაბული | 11,34 ღ. | 2,28 ღ. | 6,02 დილ. | 6,45 დილ. |
| **მ ო დ ი ს** | | | | | **გ ა დ ი ს** | | | |
| 4,30 ღ. | 1,50 ღ. | 5,35 დღ. | 5,45 დილ. | ბაქო | 7,15 ს. | 9,45 დილ. | 2,00 დილ. | 11,15 ღ. |
| **გ ა დ ი ს** | | | | | **მ ო დ ი ს** | | | |
| 7,30 დილ. | 3,35 ღ. | 8,20 საღ. | — | ბაქო | — | 6,45 დილ. | 12,15 ღ. | 4,30 დღ. |
| 3,42 დღ. | 9,04 დილ. | 3,06 ღ. | — | ხაჩმასი | — | 12,54 ღ. | 7, ს. | 8,55 დილ. |
| 8,05 საღ. | 12,20 დღ. | 9,40 დილ. | — | დერბენდი | — | 9,50 ღ. | 4,07 დღ. | 4,10 ღ. |
| 3,15 ღ. | 6,00 საღ. | 12,35 დღ. | — | პეტროვსკი | — | 4,30 დილ. | 11,15 დილ. | 9,00 საღ. |
| 4,40 ღ. | 10,45 საღ. | 5,20 დილ. | — | როსტოვი | — | 11,00 ღ. | 6,45 დილ. | 12,10 ღ. |
| [illegible] | 10,30 საღ. | — | — | მოსკოვი | — | — | 7, ს. | — |
| — | 12 ღ. მოდ. | — | — | პეტროგრადი | — | — | 9, ს. | — |

მოდის თბილისი-წნორისწყალი-თელავი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| — | — | 9 დილ. | — | თბილისი | — | 7,35 საღ. | — | — |
| — | — | 12,47 დღ. | — | საგარეჯო | — | 3,54 დღ. | — | — |
| — | — | 6,20 საღ. | — | გურჯაანი | — | 10,40 დილ. | — | — |
| — | — | 9 „ | — | წ. წყალი | — | 7,30 „ | — | — |
| — | — | 9,30 „ | — | თელავი | — | 7 „ | — | — |

თბილისი-ერევანი-ჯულფა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12,30 დილ. | — | 8 საღ. | — | თბილისი | — | 8,10 დილ. | — | 4,00 დილ. |
| 8,15 საღ. | — | 2,35 ღამ. | — | სანაინი | — | 2,10 ღამ. | — | 9,00 საღ. |
| 12,15 ღამ. | — | 5,40 დილ. | — | კარაკლისი | — | 11,25 „ | — | 5,53 დღ. |
| 7 დილ. | — | 11 „ | — | ალექსანდროპოლი | — | 6,45 საღ. | — | 12,20 „ |
| **მ ო დ ი ს** | | | | | **გ ა დ ი ს** | | | |
| 2,45 დღ. | — | 6 საღ. | — | ერევანი | — | 9 დილ. | — | 11.80 ღამ. |
| **გ ა დ ი ს** | | | | | **მ ო დ ი ს** | | | |
| — | — | 3 00 დღ. | — | ერევანი | — | 1,47 დღ. | — | — |
| — | — | 11,57 ღ. | — | შახტახტი | — | 5,30 ღ. | — | — |
| — | — | 4,15 „ | — | ნახიჩევანი | — | 2,10 „ | — | — |
| — | — | 6,30 დილ. | — | ჯულფა | — | 8,00 საღ. | — | — |

თბილისი-ბორჯომი-სურამი-ბაკურიანი

| მ. № 18 | მ. № 20 | | | | | | მ. № 19 | მ. № 17 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8,35 დილ. | 4,00 დღ. | — | — | თბილისი | — | — | 7,45 დილ. | 10,00 საღ. |
| 9,35 დილ. | 5,01 დღ. | — | — | მცხეთა | — | — | 6,52 დილ. | 9,11 საღ. |
| 11,27 დილ. | 7,12 საღ. | — | — | გორი | — | — | 4,45 ღ. | 7,06 საღ. |
| 1,47 დღ. | 9,00 საღ. | — | — | ხაშური | — | — | 3,15 ღ. | 5,37 დღ. |
| 3,30 დღ. | 10,15 საღ. | — | — | სურამი | — | — | 1,30 ღ. | 4,00 დღ. |
| **მ ო დ ი ს** | | | | | **გ ა დ ი ს** | | | |
| 2, 55 დღ. | 10,30 ღ. | — | — | ბორჯომი | — | — | 1,15 ღ. | 3,55 დღ. |
| **გ ა დ ი ს** | | | | | **მ ო დ ი ს** | | | |
| — | 7,05 დილ. | — | — | ბორჯომი-პარკი | — | — | 5,25 დღ. | — |
| — | 8,33 დილ. | — | — | წაღვერი | — | — | 4,04 დღ. | — |
| — | 10,52 დილ. | — | — | ბაკურიანი | — | — | 1,53 დღ. | — |

**შენიშვნები:** 1) სასწრაფო მატარებლები № 1 და 2 დასაძინებელი ადგილებით და ვაგონ რესტორანით დადის ორჯერ კვირაში: ბათომიდან ოთხშაბათობით და კვირაობით; თბილისს გაივლის ხუთშაბათობით და ორშაბათობით; ბაქო-ში ჩავა პარასკევობით და სამშაბათობით. მ. № 2 ბაქოდან ბრუნდება პარასკევობით და სამშაბათობით; თბილისში მოდის შაბათობით და ოთხშაბათობით, ბათომში მოდის კვირაობით და ხუთშაბათობით.

2) სწრაფი მატარებელი №№ 5 და 6 დადის სამჯერ კვირაში; ბათომი-როსტოვი ორშაბათობით; როსტოვში მიდის ხუთშაბათობით. ბათომი-მოსკოვი შაბათობით. ბათომი-პეტროგრადი ხუთშაბათობით; მიდის პეტროგრადში ოთხშაბათობით, ამ მატარებელში დასაწოლი ალაგები დანომრილია.

3) მატარებელი ნომერი № 6 როსტოვიდან ბათომამდე კვირაობით; თბილისში მოდის და გადის ოთხშაბათობით; მოსკოვიდან ბათომში ოთხშაბათობით; თბილისში მოდის და გადის კვირაობით და პეტროგრადიდან ბათომში კვირაობით, თბილისში მოდის და გადის პარასკეობით.

4) საფოსტო მატარებელი №№ 3 და 4 თბილისიდან და ერევნიდან გადის ლუწ დღეებში.

ა) საბარგო-სამგზავრო მატარებელი 25 და 26 კენტ დღეებში.

5) ფოსტის მატარებელი №№ 3 და 4 თბილისიდან და თელავიდან გადის ლუწ დღეებში და საბარგო-სამგზავრო № 21 და 22 კენტ დღეებში ერთ და იმავე საათზე,

6) ერევანს და ჯულფას შორის ორჯერ კვირაში—ერევნიდან სამშაბათობით და პარასკევობით, ჯულფიდან კი ოთხშაბათობით და შაბათობით.

7) პირდაპირი მიმოსვლა; თბილისი-ფოთი, თბილისი-ქუთაისი, ქუთაისი-ბათომი, ფოსტის მატარებლების №№ 3 და 4 მთავარ ხაზზე და შტოებზე თანახმად ემ მატარ ელებისა მიმოსვლისა.

8) ბაქო-კავკავი ერთი კლ. ვაგანი მატ. №№ 3 და 4.

9) №№ 5 და 6 სატარებლების შემადგენლობაში **მოსკოვი-თბილისი** შედის სპეციალურ დანიშნულების ვაგონი (საერთაშორისო საზოგადოების ყოფილი ვაგონი) და როსტოვი-თბილისი ერთი კლ. ვაგნოი.

2—1)


მთავარ ტყავკავშირი
ს. ს. ს. რ. ს. მ. უ. ს.
თბილისი ვორონცოვის ქ. № 82. ტელეფონი 3—08.
ტყავკავშირის უწყებაში
ტყავეულობის ქარხნები
ქეჩების ფაბრიკები
ფეხსაცმელების ქარხნები
სასარაჯო საუნაგირო და ტანსაცმელის სახელოსნოები
მიიღება შეკვეთა ტყავეულ და ქეჩების ნაწარმოების როგორც არმიისა, ისე საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა საჭიროებისათვის.
განყოფილების მაღაზიებში (სომხური ბაზარი, №№ 6 და 62).
ეძლევა ყველას ბითუმად და ცალობით ყოველნაირი ფაბრიკატები თავის წარმოების.



ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარიატის
დიდი ლატარია
საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ
პირველი მოგება . . . . . . 500 მილიონი
მეორე . . . . . . . 150 „
მესამე . . . . . . . 50 „
ქართული ბონებით
ბილეთი ღირს მხოლოდ . . . . 100.000 მან.
კუპონი „ „ . . . . 25.000 „
—ხვედრი მოგების მიღება 48 საათში.—
გათამაშება მოხდება თბილისში დეკემბრის 10-ს ა. წ.
მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1.200000000 მან.
ბილეთების შეძენა შეიძლება: ყველა ბანკებში, კავშირებში, კლუბებში, ყველა საკრედიტო კოოპერიტიულ და სხვა დაწესებულებებში.
ლატარიის მომწყობი კომისია.
კრ. 149.


ნება დართ. სამხ. ცენზ. 3000. სამხედრო საზღვაო კომისარიატის სტამბა